საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 36 05/08/2019

ა(ა)იპ-სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში , ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის საერთო ფართით 31.7 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122–ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61 -ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის საერთო ფართით 31.7 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, ორი წლის ვადით ა(ა)იპ-სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსათვის გადასაცემად.

მუხლი 2. აღნიშნული განაკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ივლისის N 50/ 33 განკარგულება „ა(ა)იპ-სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში , ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის საერთო ფართით 31.7 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზურფუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე